



# მენორა

გამოდის  
1993 წლის  
მარტიდან

დამოუკიდებელი ებრაული გაზეთი საქართველოში

„MENORA“ INDEPENDENT JEWISH NEWSPAPER IN GEORGIA

## מנורה

„МЕНОРА“ НЕЗАВИСИМАЯ ЕВРЕЙСКАЯ ГАЗЕТА В ГРУЗИИ

0380160

(აბ0)

15-31

№14 (323)

(5770)

2010

შპსი 50 თბილისი

“מנורה”

עיתון יהודי

בגוריה

## ებრაული სახელმწიფო საგანგებო განცხადება:



ნეთანიაჰუს მინიშნება  
უჩიე ხაილმან

რომ არა ერთი გარემოება, ეს იყო ჩვეულებრივი, არაფრით საყურადღებო სიტყვა, წარმოთქმული ნიუ-იორკში მეგობრული აუდიტორიის წინაშე.

7 ივლისის საღამოს, მანჰეტენში, სასტუმრო „პლაზაში“ ისრაელის პრემიერ-მინისტრი დაახლოებით 200-მდე ებრაელის წინაშე წარსდგა. იგი საუბრობდა ირანზე, თავისი ხელისუფლების მცდელობაზე დაიწყო პალესტინელებთან პირდაპირი სამშვიდობო მოლაპარაკება და აგრეთვე მნიშვნელოვან შეხვედრაზე, რომელიც მას თეთრ სახლში, პრეზიდენტ ობამასთან ჰქონდა.

თუმცა, საპროგრამო მოხსენების შემდეგ, შეხვედრების იმპროვიზირებულ ნაწილში, შეკითხვაზე იერუსალიმის შესახებ, რომელიც საზოგადოებისაგან გაისმა, ბინიამინ ნეთანიაჰუმ გადაკრით მიანიშნა ერთიან, განუყოფელ იერუსალიმზე, მისი მთავრობის მხარდაჭერა შესაძლოა, არცთუ ისე ურყევიც იყოს.

„ყველამ იცის, რომ იერუსალიმში არის ებრაული უბნები, რომლებიც ნებისმიერ სამშვიდობო მოლაპარაკების შემთხვევაში თავიანთ ადგილებზე დარჩებიან, – უპასუხა ნეთანიაჰუმ შეკითხვას, რომელიც ამერიკული ებრაული წამყვანი ორგანიზაციების პრეზიდენტთა კონფერენციის აღმასრულებელმა ვიცე-თავმჯდომარემ – მალკოლმ ჰენლინმა დასვა.

ნეთანიაჰუს რეპლიკიდან შეიძლება გამოვიტანოთ შემდეგი დასკვნა: იერუსალიმის სხვა უბნები შესაძლოა, არც დარჩნენ „თავიანთ ადგილებზე“ პალესტინის სახელმწიფოს ნაწილად გადაქცევის შემთხვევაში – ეს არის პირველი ნიშანი იმისა, რომ ისრაელის ლიდერს შეუძლია გამოავლინოს მოქნილი პოლიტიკა იერუსალიმის საკითხთან მიმართებაში. აქამდე, ნეთანიაჰუ ამტკიცებდა, იერუსალიმი არ განსვამთ მოლაპარაკების საგანად.

პრემიერ-მინისტრი აშკარად არ აპირებდა გადაექცია ეს კრება, რომელიც პრეზიდენტების კონფერენციის ინიციატივით ჩატარდა, იერუსალიმზე მოლაპარაკების გახსნის ფორუმად. თუმცა, იმპროვიზირებული რემარკა აუდიტორიის წინაშე, რომელიც ცნობილი ნიუ-იორკელი ებრაელებისა და რამდენიმე მთავრობის წევრისგან შედგებოდა, ნათელს ხდის იმას, თუ როგორ წარმოუდგენია ნეთანიაჰუს ისრაელის

დედაქალაქის საბოლოო ბედი.

ეს საკმაოდ მნიშვნელოვანი იყო, რადგან ნეთანიაჰუს ჭეშმარიტი განზრახვები, რომელიც სამშვიდობო პროცესს ეხება, კვლავ ბუნდოვანი რჩება ვაშინგტონიდან რამალლამდე. ნეთანიაჰუ ძალიან გვიან მივიდა ორი სახელმწიფოს შექმნის აზრამდე. მან მხოლოდ ერთი წლის წინ მოიწონა პალესტინის სახელმწიფოს შექმნის იდეა, შეერთებული შტატების მხრიდან აქტიური ზეწოლის შედეგად მის მიერ შექმნილი მმართველი კოალიცია, მნიშვნელოვანწილად შედგება. მეზარჯვენი პარტიებისაგან, რომლებსაც არ სჯერათ ამჟამინდელი პალესტინის ადმინისტრაციის, როგორც პარტნიორის.

6 ივლისის პრეზიდენტ ობამამ გამოაცხადა, რომ მისი მრწამსით, ნეთანიაჰუ გულანდობლივად ცდილობს ორი სახელმწიფოს შექმნის შესაძლებლობის გამოიყენოს.

„მე მჯერა, რომ პრემიერ-მინისტრ ნეთანიაჰუს სურს მშვიდობა, – უთხრა ობამამ ჟურნალისტებს ნეთანიაჰუსთან ოვალურ კაბინეტში შეხვედრის შემდეგ. ჩვენი შეხვედრის მსვლელობისას, მან კიდევ ერთხელ დაადასტურა თავისი სურვილი დაიწყო პალესტინელებთან სერიოზული მოლაპარაკებები იმის შესახებ, რაც ვფიქრობ, არა მხოლოდ ორი მონაწილის, არამედ მთელი მსოფლიოს მიზნად უნდა გადაიქცეს,

თუმცა, პირად საუბრებში ამერიკის ადმინისტრაციის თანამშრომლები ეჭვს გამოთქამდნენ ნეთანიაჰუს მიერ ამ გეგმის განხორციელების გამო. ობამას მომხრეებს კი ეჭვი ეპარებათ ნეთანიაჰუს ამ მიზნის თანამიმდევრულობაში. პალესტინის ავტონომიის ხელმძღვანელობაც ამბობს, ნეთანიაჰუს დაინტერესება მოლაპარაკებებში არასერიოზულია.

„სიტყვები და არა საქმე – ასეთია მოლაპარაკებებში მთავარი პალესტინელის – საუბერეკატას შეფასება, რომელმაც თავი აარიდა ნეთანიაჰუს სიტყვებს სამშვიდობო პროცესის შესახებ 6 ივლისის, „ნიუ-იორკ თაიმსთან“ ინტერვიუში, – ჩვენ უნდა დავინახოთ საქმე“.

ნეთანიაჰუ კი ამტკიცებს, რომ მას ნამდვილად სერიოზული მიზნები აქვს სამშვიდობო მოლაპარაკებებთან დაკავშირებით, ხოლო პალესტინელები ამ საკითხს არასერიოზულად უდგებიან.

### თუ ისრაელი ბოდიშს ახ მოიხდის, თუჩეთი უჩითიუთობის განყვეტით იმუქება

თურქეთის საგარეო მინისტრი ისრაელთან ურთიერთობების გაწყვეტით იმუქრება, იმ შემთხვევაში თუ ისრაელი ბოდიშს არ მოიხდის ფლოტილიის ხელში ჩაგდების გამო, რომელიც ღაზაში მიემართებოდა. ყოველივე ამას კი ადამიანების სიცოცხლე შეეწირა, – განაცხადა თურქულმა გაზეთმა.

„ისრაელელებს სამი ვარიანტი აქვთ: ისინი ან ბოდიშს მოიხდიან, ან აღიარებენ საერთაშორისო, მიუკერძოებელ გამოძიებას და მის განაჩენს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩვენი დიპლომატიური ურთიერთობები გაწყდება“, – განაცხადა 4 ივლისის გაზეთ „Harriet daily & news economic review“ – სთან საუბარში საგარეო საქმეთა მინისტრმა ახმედ დავუთოლლუმ.

ეს ვარიანტები დავუთოლლუმ გასულ კვირას ბრიუსელში, ისრაელის მრეწველობის, ვაჭრობისა და შრომის მინისტრთან – ბინიამინ ბენ-ელეზერთან შეხვედრისას განმარტა – იტყობინება გაზეთი.

ცხრა თურქი მოქალაქე დაიღუპა კონფლიქტში, რომელიც 31 მაისს საერთაშორისო წყლებში ხომალდ „მარმარაზე“ ისრაელის საზღვაო დესანტის ჩამოსხდომისას გაჩაღდა. დესანტი ცდილობდა ხომალდის ქალაქ აშლოდში შეეყვანას, ეს ხომალდი ღაზას საზღვაო ბლოკადის გარღვევას ცდილობდა.

ამ შემთხვევის შედეგად თურქეთმა იერუსალიმიდან თავისი ელჩი გაიწვია და რამდენიმე ერთობლივი სამხედრო სწავლება გააუქმა, აგრეთვე ისრაელის სამხედრო თვითმფრინავებს თურქეთის საჰაერო სივრცის გამოყენება აუკრძალა.

ისრაელის მთავრობამ, პრემიერ-მინისტრის ბინიამინ ნეთანიაჰუს და საგარეო

(დასასრული მესამე გვერდზე)

# ლიხსეუდი მამუციშვიდი

მერი ელიშაიშვილი

იბადებოდნენ საქართველოს მაღლიან მიწაზე, მის ფუნჯით მოხატულ მთა-ბარში, ღმერთის რწმენით აღსავსე, სულით წმიდა ებრაელები, თემის მოძღვარნი, რომელთა ძალისხმევით, ლოცვით და ლაღადით, სიბრძნითა და სისპეტაკით ქართველმა ებრაელებმა მამა-პაპისეული ტრადიციები შემოინახა და მოშეს ცნებებისადმი ერთგულება და პატივისცემა დღემდე მოიტანა. იმ წმიდა ნეტარსენებულ სულიერ მოძღვართაგან რაბი იმანუელ დავითაშვილის სახელი, როგორც ქართველ ებრაელთა მთავარი რაბინისა, ოქროს ასოებით არის შეტანილი ქართველ ებრაელთა სულიერი ცხოვრების მატრიანეში, რამეთუ ნეტარსენებულ რაბი, რომლის მძღვარ მხრებზე საბჭოთა რეჟიმმა უამრავი გრიგალი გადაატარა, მაინც არ შედრკა, ამაყად იდგა თავის წმიდა ფესვებზე და ღვთის შარავანდედით მოსილმა, თემის შვილთაგან დაფასებულმა, ებრაული მტკიცე სულით, დიდი ადამიანობით საქართველოსა და ისრაელში თემის დროშა წმიდად ატარა.



სწორედ ასეთი უდიდესი სულიერი მოძღვარის, ჭეშმარიტი რაბის, სულით ხორცამდე წმიდათაწმიდა ებრაელის ოჯახში დაიბადა და აღიზარდა ერისა და თემის თვალსაჩინო წარმომადგენელი, აღიარებული მწერალი, წმიდა ნიგნთა უზადო მთარგმნელი, ფილოსოფოსი, მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, ბრწყინვალე ჟურნალისტი და ორატორი, პროფესორი შალომ დავიდი, რომელსაც სულ ახლახანს დაბადებიდან სამოცდაათი წელი შეუწრულდა.

დავესესხები ერთობ გავრცელებულ ანდაზას - „სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს“ და ქართველ ებრაელთა თემის სახელით, ხოლო ხელოვნებისა და კულტურის სასახლეში ეწ. „მათნას“-ში თვით ბატონი შალომის მფარველობით მოქმედ „ქალთა კლუბის“ მანდილოსანთა და პირადად ჩემი სახელით ვულოცავ მას ამ ღირსშესანიშნავ თარიღს - დაბადებიდან სამოცდაათ წლისთავს, ვუსურვებ ჯანმრთელობას, დღეგრძელობას, ერისა და თემის სამსახურში კვლავ ახალ-ახალი იდეების წარმატებით განხორციელებას, დიდ სიხარულსა და ბედნიერებას თავის ლამაზ ოჯახთან ერთად.

ბატონი შალომ დავიდი - წარმოვთქვამთ ამ სახელსა და გვარს და წარმოგვიდგება, მართლაც დიდი პიროვნება თავისი გარეგნული, თუ შინაგანი არსის სიმშვენიერით, მაღალი ინტელექტით, ერთობ განსწავლული, მოაზროვნე, უბადლო მწერალი და მთარგმნელი, ორატორი, რომლის ყოველი სიტყვა, ყოველი ფრაზა, მაღალი ივრითით თუ ტკბილი ლიტერატურული ქართულით წარმოთქმული, სმენად გადააქცევს მსმენელს, ატყვევებს და აჯადოებს მას.

ბატონი შალომ დავიდი — ორი სამშობლოს, ორი მეგობარი ხალხის ისტორიას, კულტურისა და მდიდარი მემკვიდრეობის დიდი რუდეულებით, ერთგულებით და პატივისცემით აღმწერი და შემფასებელი.

ბატონი შალომ დავიდის სანაქებო, საამაყო, ოჯახურმა გარემომ, მამის - უდიდესი რაბის ბრძნულმა რწმენა-დარიგებებმა, თორის მცნებების სიბრძნე-სიწმინდესთან სიახლოვემ. თავის მხრივ კი, ებრაულ თუ ქართულ ლიტერატურასთან დამეგობრებამ, მხატვრული თუ ისტორიული ნაწარმოებების შინაარსში ღრმად წვდომამ, ცოდნის დიდმა წყურვილმა და ინტერესმა, ხალხთან ისტორიის გაცნობისა და შესწავლისა, ბატონ შალომს გზა გაუხსნა სიმაღლეებისაკენ, რათა თავისი სიტყვა ეთქვა, თავისი დამოკიდებულება გამოეხატა, როგორც მრავალტანჯული ებრაელი ერის სულიერი სამყაროს ფასეულობებზე, ისე მეგობარი ქართველი ხალხის ისტორიასა, კულტურასა და მემკვიდრეობაზე.

გასული საუკუნის 70-იან წლებში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტი ტოვებს ცოდნის ტაძრის ქალაქთა კედლებს და ისრაელისაკენ იღებს გზას. თუმცა, დიდი რაბინი იმ დროისათვის ნადრევად თვლიდა თავის ოჯახის ისრაელში ასვლას, რამეთუ ბრძნულად ჭკრეტდა ამ დიდმნიშვნელოვან საკითხს და მიზანშეწონილად მიაჩნდა, როგორც „მწყემს“ ძვირფასი „ფარისას“, ჯერ თავისი ფარა დაებინავებინა ისრაელში ლოცვა-კურთხევით და

შემდეგ გულდამშვიდებული თვითონ ასულიყო წინაპართა წმიდა მიწაზე, მაგრამ საქართველოში იმდროინდელი პოლიტიკური ვითარების გამო, მაღალჩინოსანთა მოთხოვნებისა და ბრძანებების შესაბამისად, ნეტარსენებულ რაბის ოჯახი, ბატონი შალომის ახლადშექმნილ ოჯახთან ერთად, იძულებული შეიქმნა, მიეტოვებინა თავისი მრევლი და ამოსულიყო ისრაელში.

1972 წლის შემოდგომიდან იწყება ბატონი შალომის შერწყმა იმ ნანატრ სამშობლოსთან, იმ სინამდვილესთან, რომელიც ოცნების დაუშრეტელი წყარო იყო და არის დიასპორაში მცხოვრები ყოველი ებრაელისათვის.

და აი, უზადო ნიჭს და ცოდნას იგი დიდი შრომით და ენთუზიაზმით კიდევ უფრო აცისკროვნებს მამაპაპათა ნაოცნებარ, უკვე წალკოტად ქცეულ გარემოში. წარჩინებით ამთავრებს ბარ-ილანის უნივერსიტეტს იუდაიზმის განხრით, შემართებით მიიწევს წინ და თემის სამსახურში დგება. საკუთარი ინიციატივით და რედაქტორობით საქართველოდან ამოსულ რეპატრიანტებს ძვირფას საჩუქრად უძღვნის ქართულენოვან ჟურნალს „იუდაიზმის ხმას“, „ლიტერატურულ აღმანახს“ და ყოველთვის გაზუთს „მოამბეს“, რომელთა ფურცლებიდან საზოგადოებას აწვდის ებრაული პოეზიის, პროზის ბრწყინვალე ნიმუშებს, აცნობს მათ სისხლითა და ცრემლით ნაწერ ებრაელთა ისტორიის ამსახველ, გულში ჩამწვდომ ფაქტებსა და მოვლენებს.

ბატონი შალომის სასახლოდ უნდა ითქვას, რომ ამ ბეჭდვითმა ორგანოებმა იმდროინდელ რთულ და მძიმე პერიოდებს გაუძღეს, დიდი სამსახური გაუწიეს საქართველოდან ამოსულ ებრაელობაში ეროვნული თვითშეგნების ამაღლების საქმეს და ქართულენოვან მკითხველისათვის უდიდეს შემეცნებით წყაროდ, ნამდვილ სულიერ საზრდოდ იქცნენ.

ფართო და მრავალმხრივია ბატონი შალომის შემოქმედებითი მოღვაწეობის არე. ერთობ ამოუწურავია მის მიერ შექმნილი და მოძიებული მასალები და მაინც, მისი მიმზიდველი, სათაყვანებელი სფერო - ეს არის ძველ ფილოსოფოსთა შრომების წმინდა ნიგნთა თარგმნა და მიწოდება ქართულენოვანი საზოგადოებისათვის.

ძნელია ჩამოთვლა მის მიერ ბრწყინვალედ

შესრულებული თარგმნებისა, რომელიც ქართველ ებრაელთათვის ხელისხელ საგომანებელი, მძივებად ასხმული მარგალიტებია.

ბატონი შალომის ყოველი ნამუშევარი, ყოველი ქმნილება მკითხველის გულში ცოცხლდება, ფრთებს ისხამს, აღაფრთოვანებს, ააკიაფებს და განაცვიფრებს მკითხველს, რამეთუ ბატონ შალომს, ისრაელის კულტურულ თუ სულიერ ცხოვრებასთან საკმაოდ კარგად შერწყმულს, არათუ დავიწყებია ქართული ენა, არამედ დახვეწილი მშვენიერი მოსაუბრე, უფრო ავსებს, აღრმავებს ქართულ ლიტერატურას, მისი ენის კულტურას, ეს კი ამ დიდი პიროვნების უზადო ნიჭის, ცოდნის, ინტელექტის, საქმისადმი და თვით ქართველი ხალხისა და ტკბილი ქართული ენისადმი პატივისცემისა და სიყვარულის ბრწყინვალე გამოხატულებაა.

სწორედ ასეთი ლამაზი ლიტერატურული ქართულით არის ნათარგმნი ის ფასდაუდებელი მარგალიტი, მარად ჩაუქრობელი ჩირაღდანი, სიბრძნე-სიწმინდის დაუშრეტელი წყარო, კაცობრიობის გზამკვლევი მოშეს ხუთნიგნეული - თორა, რომელმაც ქართულენოვანი მკითხველის გულში დაიდო ბინა და მისთვის უდიდეს განძად და საუნჯედ, სამაგიდო ნიგნად იქცა.

თორის - ნიგნთა ნიგნის ბატონ შალომ დავიდისეული თარგმანი თარგმნითი ხელოვნების ბრწყინვალე ნიმუშად შეფასდა, ხოლო ებრაული ხალხის ამ უკვდავი კლასიკური ქმნილების ასე ლამაზად, სრულყოფილად და შესანიშნავად წარმოდგენისათვის ბატონმა შალომმა დიდი აღიარება პოვა.

არანაკლებ ბრწყინვალე და შეუდარებელია, ნამდვილი საგალობელია თარგმანი სიდურისაკანონიკურ ლოცვათა კრებულისა, რომელიც ებრაული ჰიმნოგრაფიის პოეტურ საგალობელთა ნაწყვეტებს შეიცავს. „მინდოდა, გამეცოცხლებინა ლოცვათა კრებულში ჩაქსოვილი ნაზრევი, გამომეცა ჩვენი ლოცვანის სურნელი“ - წერს ბატონი შალომი სიდურის წინათქმაში და უდავოა, რომ ამ სურნელს, მის მელოდიურობას მართლაც შეიგრძნობს მკითხველი, რამეთუ თარგმანის ყოველი სიტყვა გამჭვირვალე ბროლის სადარია, უღერადა, ჰანგია, რომელიც წვდება გულის სიმებს და აჟღერებს მათ.

მთელი გრძნობით, სიამოვნებით იკითხება დახვეწილი, ლამაზი ქართულით წარმოდგენილი ესთერისა თუ რუთის გრაგნილი შავუთი, იეჰუდა პალევის სულში ჩამწვდომი პოეზია, დიადი დავიდის უკვდავი ქმნილება „ნიგნ თეჰილიმ-საგალობელთა“ და სხვა.

და არა მარტო თარგმანები.

ბატონი შალომის ნაკალმევია მთელი რიგი ფილოსოფიური ნიგნებისა, რომელთა შორის აღსანიშნავია „ებრაულ-კაბალისტური ფილოსოფია რაბი შნეურ ზალმან ლიადელის წარმოსახვებში“ - „სულის უკვდავება“. ამ ღრმა ფილოსოფიური ნიგნის მიზანი - ბატონი შალომის მიხედვით - ადამიანთა წინაშე ჰარმონიული სამყაროს არსისა და რაობის ფაქტის წარმოსახვაა.

რაოდენ დიდი შრომა - გონებრივი თუ ფიზიკური - გაუწევია ამ დიდებულ ნაშრომის დიდებულ ავტორს, რომ ჩვენი ბრძნული სწავლულების მტკიცებები თაღმუდებანი თუ მიდრავიდან სულისა და მისი უკვდავების შესახებ გაესხვიოსნებინა და ლამაზად, გასაგებად მოეწოდებინა მკითხველისათვის.

ბატონი შალომი დაუღალავია, მოწოდებით მართლაც შეუდარებელი შემოქმედია, როგორც კვლავ ძიებაშია, რათა კიდევ უფრო გაეფართოვოს ქართველ ებრაელთა თვალსაწიერი, მიაწოდოს მას დახვეწილი, შინაარსობლივად საინტერესო ნაშრომები და აი, 2007 წელს ქართულენოვანი მკითხველი რუ-

(დასასრული მე-8 გვერდზე)

9 აბს (20 ივლისს) საქართველოს ებრაელობამ ანლობკლთა საფლაკების მონახულებით აღნიშნა მეორე ტაძრის დახვრეკის ტრაგიკული ღღე.



# ის, ვინც ერთი აღმიანი გადააჩინა, ქვეყნებზე ისწავს



„მსოფლიოს ხალხთა წმინდანის“ სერგო ვასილის ძე მეტრეველი

## „მსოფლიოს ხალხთა წმინდანის“ ნოდების მატარებელი ერთადერთი ქართველი - სერგო ვასილის ძე მეტრეველი

### „მსოფლიოს ხალხთა წმინდანთა“ შორის აქამდე ქართველი არ ყოფილა

მოუვიდოდა, რომ შეიძლებოდა ფაშისტები ამ მხარეშიც მოსულიყვნენ...

ომიანობის მიუხედავად, ადამიანები ჩვეულებრივ ცხოვრებას განაგრძობდნენ, რომელშიც ადგილი ბედნიერ

ფაშისტებმა უმაღლეს დიპლომატიურ ებრაელების დახვეწა, სხვაგვარი ათასი სისასტიკის ჩადენა. ქალაქიდან ევაკუაციის სხვა, რეალური გზები არ არსებობდა (შენედავთ თუ არა რეგიონის რუკას, მიხედვით, რომ უკან მხოლოდ მთებია...). დაჭრილ მეომრებს მაცხოვრებლები სახლებში ინაწილებდნენ, რათა გადაერჩინათ დამპყრობლებისგან. რაიმე სერიოზული სამხედრო ნაწილი, რომელიც შეძლებდა ვერმანთან დაპირისპირებას (ჩვენ კი ვიცით, რომ „კავკასიური მიმართულება“ ჰიტლერის გერმანიის სტრატეგიისთვის იმ დროს პრიორიტეტული იყო) არც ესენტუკში, არც კისლოვოდსკიში არ არსებობდა.

გერმანელები მოვიდნენ! გასაგებია რა დღეში ვარდებიან ებრაელები... პირველ რიგში ადამიანები ფიქრობდნენ მხოლოდ ერთ რამეზე, როგორ გადაერჩინათ საკუთარი შვილები, რა მოემოქმედათ ამისათვის?!

ზიგელების ოჯახმა ემილის ერთ-ერთი მეგობრის შშობლებთან – პეტია რაბინოვიჩთან შეაფარა თავი! მაგრამ იმათაც უჭირდათ – ესენიც ებრაელები იყვნენ. მოსალლოდელი ტრაგედიის, შიშის გრძნობა... მაშინ პეტია მამამ – არკადი რაბინოვიჩმა თავის მეგობარს სერგო ვასილის ძე მეტრეველს (ისინი ერთად მუშაობდნენ ღვინის მალაზიაში) სთხოვა: ხვალ-ზევ დასახვრეტად გაგვიყვანენ, იქნებ რაიმე გვიშველო, ემილი მაინც გაიყვანოს! აუცილებელი იყო, ბავშვი, და არა მხოლოდ ბავშვი, სხვებიც იყვნენ, საიმედო ადგილას გადაემალა. გადაემალა იქ, სადაც შესაძლებელი იქნებოდა სიცოცხლე შეენარჩუნებინათ, იქამდე სანამ ეს რთული პერიოდი დამთავრდებოდა. უნდა აღინიშნოს, რომ თავად სერგო მეტრეველს ამ დროისთვის თავისი ოთხი შვილი. შესაბამისად, მათი სიცოცხლეც საფრთხის ქვეშ იდგა.

ავისტოს მესამე დეკადის დასაწყისში სერგო მეტრეველმა კისლოვოდსკიდან ექვსი ებრაელი გაიყვანა. ეს იყო ემილ ზიგელი და კიდევ ხუთი, ამით შორის ორი ქართველი ებრაელი – ხანანაშვილი და მოძღვრიშვილი იყვნენ. ისინი ფეხით ტყე-ტყე მიდიოდნენ ჩრდილოეთ ოსეთის გზის პარალელურად, მამისონის უღელტეხილის



ებრაელობას ყოველთვის როდი არბევდნენ, ებრაელობას ყოველთვის როდი ებრძოდნენ, იცავდნენ, უფრო ხილდებოდნენ კიდევ.

მეორე მსოფლიო ომის-ჰოლოკოსტის წლებში, როცა ფაშისტები ებრაელობის მოსპობას, საბოლოო განადგურებას ესწრაფოდა, სხვადასხვა ერთა შორის იყვნენ ადამიანები, რომლებიც იცავდნენ მათ სიცოცხლეს, ესწრაფოდნენ მათ გადარჩენას.

მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ ებრაელმა ხალხმა გადაწყვიტა პატივი მიეგო ყველა იმ პიროვნებისათვის, რომელიც ცდილობდა გადაერჩინათ თუნდაც ერთი ებრაელის სიცოცხლე.

ამ მიზნით 1961 წელს დაწესდა „მსოფლიოს ხალხთა წმინდანის“ წოდება. იერუსალიმში, ჰოლოკოსტის მუზეუმში – „იად ვაშემ“ – წმინდანის სახელზე ირგებება ხე, მისი სახელი ამოიკვეთება დაფაზე.

„მსოფლიოს ხალხთა წმინდანის“ წოდების მატარებელი აღმოსავლეთ ევროპის არაებრაელი, ქრისტიანი მოსახლეობა – საომარი მოქმედებები აქ მიმდინარეობდა და სწორედ აქ გამოვლინდებოდნენ ადამიანები, რომლებიც ებრაელობისთვის საკუთარ სიცოცხლეს ავდებდნენ საფრთხის ქვეშ.

2003 წლის ბოლომდე წმინდანის წოდება 2205 ადამიანს მიენიჭა.

ქართველთა შორის პირველად „მსოფლიოს ხალხთა წმინდანის“ წოდება სერგო ვასილის ძე მეტრეველმა მიიღო. 2005 წელს მისი სახელი და წარმომავლობის ქვეყანა, „იად ვაშემის“ მემორიალური კომპლექსის წმინდანთა დაფაზე ამოიკვეთა ებრაელი ხალხის მარადიული ხსოვნისა და მადლიერების ნიშნად. მკითხველს შევახსენებთ, რომ ამ დიდებული ფაქტის თაობაზე „მენორა“ 2004 წელს წერდა (№22).

ასეთი გმირი არც ისე ბევრი იყო, უფრო სწორად კი, ასეთები ძალიან ცოტანი იყვნენ, მაგრამ სწორედ სერგო და მისი სულისკვეთების ადამიანები გახდნენ იმ სანიშნედ, რომელთაც მიაპყრობს თავის ყურადღებას უფალი, ამა თუ იმ ერისათვის „განაჩენის“ გამოტანის დროს... სწორედ ერთ-ერთ მათგანზე, რომლის სახელი და გვარი ამოკვეთილია „იად ვაშემის“ მემორიალურ დაფაზე, ერთადერთ ქართველზე გვიამბობთ დღეს!

მისი გმირობის ამბავს კი, მის მიერ ერთ-ერთი გადარჩენილის – ემილ ზიგელის მონაყოლზე დაყრდნობით გავიზიარებთ. აღსანიშნია, რომ სწორედ აკადემიკოსი ემილ ზიგელი გახლავთ ის პიროვნება, რომელმაც შეიტყო იმის შესახებ, რომ თავისი გადამრჩენელისთვის სიკვდილის შემდგომ „მსოფლიო ხალხთა წმინდანის“ წოდების მინიჭება შესაძლებელი ყოფილა. მან ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ სერგო ვასილის ძე მეტრეველისათვის ეს წოდება მიენიჭებინათ.


#### აბრეალთა სიცოცხლის გალარეების აგება

ზიგელის ოჯახი დნეპროპეტროვსკში ცხოვრობდა. ომის დაწყებისთანავე ფაშისტებს კისლოვოდსკი გამოექცნენ. ომის პირველ წელს ეს საკურორტო ქალაქი უსაფრთხო ადგილად ითვლებოდა. არავის აზრად არ

წუთებსაც ეკავათ. 1942 წლის 9 აგვისტოს ემილ ზიგელი შშობლებთან ერთად ქალაქის ფილარმონიიდან ბრუნდებოდა. ფილარმონიაში კონცერტი იმართებოდა (ბიჭი ადრეული ასაკიდან მუსიკაზე დაჰყავდათ და მუსიკისადმი სიყვარული მთელი ცხოვრების მანძილზე გაჰყვავა). იმ დღეს ჩრდილოეთ-კავკასიის სამხედრო ოლქის ჯაზ-ორკესტრი გამოდიოდა, იოსებ სტელმანის ხელმძღვანელობით. კონცერტის დასრულების შემდეგ, მილიციის შენობებთან გავლისას, ზიგელმა ყურადღება სატვირთო მანქანებს მიაქციეს, რომლებშიც ჯარისკაცები მძიმე ყუთებს აწყობდნენ. ისეთი ფაციფუცი იდგა, ზიგელმა საფრთხე იგრძნეს. სავარაუდო იყო, რომ მოხდა რაღაც გაუთვალისწინებელი. შემდგომ გაირკვა: ამ დღეს გერმანიის ჯარებს ქალაქი მინვოდი დაეკავებინათ. ქალაქი, რომელიც კისლოვოდსკიდან 55 კილომეტრითაა დაცილებული. გერმანელები შეტევის გაგრძელებას აპირებდნენ...

10 აგვისტოს ქალაქის სადგურში ოთხი სანიტარული მატარებელი იდგა, დაჭრილებისა და ავადყოფების ევაკუაციისთვის, მაგრამ ვერც ერთმა შემადგენლობამ ვერ მოახერხა კავკასიის მიმართულებით გამგზავრება, იმიტომ რომ გერმანიის ავიაციამ მდინარე პოდკუპოკზე გამავალი ხიდი გაანადგურა.

კისლოვოდსკი პანიკა დაიწყო. ქალაქში შემოსულმა



ააღაიუოსი ემილ ზიგელი გვჩვენებს „იად ვაშემი“ ამოკვეთილი ქართველი „ხსილის“ გვარს

გავლით.

ეს იყო რთული და მძიმე გზა. დღის საათებში მიდ-  
იოდნენ, ღამით კი ღამის სათევად დაბანაკდებოდნენ  
ხოლმე. მაგრამ ემილს არ ეძინა – იგი ყარაულობდა  
ფაშატს – ერთადერთ საიმედო დამხმარეს მთებში მოგ-  
ზაურობის დროს.

საქართველომდე ონის რაიონის სოფელ უწერამდე, სა-  
დაც სერგო მეტრეველის მშობლები ცხოვრობდნენ, 26  
დღე მიდიოდნენ. სოფელ უწერამდე მათ 486 კილომეტრი  
გაიარეს. აქედან 400 კილომეტრი გერმანელების მიერ  
იყო დაკავებული. გზაში ემილი ტროპიკული მალარიით  
დაავადდა და „მია სერგოს“ მშობლები (სწორედ ასე  
ეძახდა ემილ ზიგელი სერგო მეტრეველს) ორი კვირის  
მანძილზე საკუთარი შვილიშვილივით უვლიდნენ. ფაქ-  
ტიურად მცირე დროის მანძილზე ემილი მეორედ  
გადაარჩინეს სიკვდილს...

1943 წლის იანვარში, 17 წლის ემილ ზიგელი მოხ-  
ალისედ წავიდა წითელ არმიაში, ბრძოლით მიაღწია  
გერმანიას.

სამი წლის მერე, 1946 წელს ემილ ზიგელი გერმანი-  
იდან კისლოვოდსკში შეებრუნებოდა ჩამოვიდა. უდიდესი  
აღმოჩნდა მისი მეგობრებისა და ნაცნობების გაოცება,  
როდესაც იგი ცოცხალი დაინახეს – ემილს ყველა დიდი  
ხნის დაღუპულად მიიჩნევდა (აქვე უნდა აღინიშნოს, რომ  
ემილის სამი ძმა ფრონტზე დაიღუპა, მისმა დამ კი მთე-  
ლი ომი სამხედრო ქირურგად განვლო). სამწუხაროდ,  
კისლოვოდსკში დარჩენილი ემილის მშობლები, როგორც  
სხვა ებრაელები, რომლებიც ქალაქში იმყოფებოდნენ, ვერ  
გაექცნენ თავიანთი თანამომეგობრების ტრაგიკულ სვედრს –



ნაცისტებმა ისინი დახვრიტეს.

გავიდა დრო. დღეს ემილ გენრიხის ძე ზიგელი გვარ-  
დიის ყოფილი პოლკოვნიკი, აკადემიკოსია. ცხოვრობს  
ისრაელში, ქრეზოვოთში.

მთელი სიცოცხლის მანძილზე მოსვენებას არ აძლევ-  
და სერგო მეტრეველის ამაგი. დროდადრო, ვიდრე  
ბალტიისპირეთში ცხოვრობდა და მუშაობდა, ჩადიოდა

კისლოვოდსკში, მთელი სულითა და გულით უმადლოდა  
თავის გადაარჩენელს, მიდიოდა მშობლების საფლავზე.  
სერგო ვასილის ძე მეტრეველის გარდაცვალების მერე,  
უკვე ისრაელში მცხოვრებმა ემილ ზიგელმა შეიმთხ-  
ვევით შეიტყო, რომ არსებობდა „მსოფლიოს ხალხთა  
წმინდანის“ წოდება და მედლი, რომელსაც მიანიჭებენ  
კაცთმოყვარეობისთვის მსოფლიოს სხვადასხვა ერების  
წარმომადგენლებს. კისლოვოდსკელი ქართველი ს. მეტ-  
რეველის დაჯილდოების საკითხი სწორედ მან წამოჭრა.

**სერგო მეტრეველის საკითხს დიდხანს სწავლობდნენ.  
2004 წლის 30 მაისს სპეციალური კომისიის სხდომაზე  
სერგო ვასილის ძე მეტრეველს „მსოფლიოს ხალხთა  
წმინდანის“ წოდება მიენიჭა.**

ჩატარდა მედლებისა და საპატიო სიგელის გადაცე-  
მა. მთავარი გამომხატველი – სერგო მეტრეველის ვაჟს –  
აბელ მეტრეველს უდიდესი სითბოთი და პატივისცემით  
უღოცავდა ქ. კისლოვოდსკის მეთაური ს. დემიდენკო,  
კისლოვოდსკის ეროვნული თემების წარმომადგენლები,  
მეგობრები და ნაცნობები, რომლებიც იცნობდნენ ლეგ-  
ენდარულ სერგოს.

შესანიშნავი მეღვინე და ხურო, იგი განხლდათ თავმდ-  
აბალი, კეთილშობილი, მამაკაცურად ამაყი, თავმდაბალი –  
ერთი სიტყვით, ნამდვილი ქართველი.

(ამონარიდი ერთ-ერთი რუსული გაზეთიდან, სადაც  
ემილ ზიგელი ინტერვიუს აძლევს დაჯილდოების ცერ-  
ემონიაზე მყოფ ჟურნალისტს)

**აკადემიკოსი ემილ ზიგელი:**

– ცხოვრების სამახსოვრო გზამ დაახლოებით 3 კვი-  
რა დაიკავა. ძნელია აღწერო ყველა ის დაბრკოლება,  
რომელიც ჩვენ შეგვხვდა, თუმცა, ეს სასწაულს წააგა-  
ვდა: 6 ადამიანის გადაყვანა იმ სოფლებით, სადაც უკვე  
მძინვარებდა ფაშიზმი – ეს სასწაულია! სერგო ძიამ  
გაგვიყვანა მამისონის უღელტეხილზე, რომლის სიმაღლე  
ზღვის დონიდან 2800 მეტრია. იქიდან მის მშობლიურ  
სოფელ უწერამდე 40 კილომეტრი რჩებოდა, სადაც  
დევნილები, ანუ ჩვენ, სტუმართმოყვარედ მიგვიღეს მეტ-  
რეველის მშობლებმა. მათ მოვლით, მზრუნველობით მო-  
მარჩინეს, რისთვისაც ქედს ვიხრი მათი სსოვნის წინაშე!

**გმირი მამის ღირსი ზვილი**

ამბობენ, როგორც მამა ისეთივეა შვილიც, ამიტომ  
როდესაც აბელ სერგოს ძე მეტრეველი იწყებს საუბარს  
მოგვასისა და თავისი პაციენტების სიყვარულზე, მისი ამ  
სიტყვების ეჭვის ქვეშ დაყენება, რბილად რომ ვთქვათ,  
არასწორი იქნებოდა.

სერგო მეტრეველის ვაჟი – აბელ მეტრეველი უაღ-  
რესად პატივსაცემი პიროვნება გახლავთ. იგი კისლო-  
ვოდსკის მთავარი კარდიოლოგი, რუსეთის ფედერაციის  
დამსახურებული ექიმი, მედიცინის პროფესორი, კისლო-  
ვოდსკის ცენტრალური საავადმყოფოს კარდიოლოგი-  
ური განყოფილების გამგე გახლდათ. 2002 წელს ბ-ნმა  
აბელმა ქალაქის ცენტრალურ საავადმყოფოში მუშაობის  
40 წლის იუბილე აღნიშნა. ამჟამად მეუღლესთან ერ-  
თად თბილისში დასვენებენ.

„მენორას“ რედაქციაში გვესტუმრა გმირის ვაჟი –  
სანდომიანი ქართველი 80 წელს მიტანებული, მაგრამ  
მინც ჭაბუკურად მოშინარალი ვაჟკაცი. იგი გვესაუ-  
ბრება მამაზე – ხასიდ კაცზე, თავისი ცხოვრების გზაზე.

ბ-ნი აბელ მეტრეველი კისლოვოდსკში ცხოვრობდა,  
აქ გაატარა ბავშვობა. თბილისის სამედიცინო უნივერ-  
სიტეტის დამთავრების შემდეგ, კვლავ კისლოვოდსკში  
ბრუნდება. მიანდა, რომ მედიცინა არ იყო მისი ბავშ-  
ვობის ოცნება, როგორც თავად ამბობს. უკვე სწავლის  
პირველ კურსზე კი მიხვდა, რომ სწორედ ეს არის მისი  
მოწოდება, საქმე, რომელსაც მთელი სიცოცხლე მიუძ-  
ღვინდა. სწავლას სტუდენტის წარმატებულად და საკ-  
მოდ ადვილად ართმევდა თავს, განსაკუთრებით კი სპეც.  
დისციპლინებს. გამოცდის წინ რამდენჯერ გაუთენებია  
ღამე და თანაკურსელს დახმარება საგნის მომზადებაში.  
ბ-ნ აბელს გულწრფელად უკვირდა, თუ რატომ უძნელ-  
დებოდათ სხვებს ამის სწავლა.

1959 წელს სამედიცინო უნივერსიტეტის დამთავრების  
შემდეგ, ახალგაზრდა სპეციალისტი, უკვე ცოლ-შვილიანი,  
ბორჯომის რაიონში გაანაწილეს. იქ ქირურგიც იყო,  
გინეკოლოგიც, თერაპევტიც და ა.შ. იგი 9 სოფელს ემ-  
სახურებოდა. სოფელში, სადაც თვითონ დასახლდა, არც  
ელექტროენერგია იყო, არც – რადიო. პირველი პაცი-  
ენტის გამოჩენა გიორგობის დღეს დაემთხვა, როდესაც  
ნამხიარულები სოფლები დასაძინებლად დაიშალნენ.  
დაახლოებით ღამის ორ საათზე ფანჯარასთან ხმა გაის-  
მა – ვიღაცა შვილისთვის დახმარებას ითხოვდა, მაგრამ  
როგორ უნდა მიეღწია პაციენტამდე? აღმოჩნდა, რომ ამ  
კაცს ორი უნაგირიანი ცხენი ჰყავდა, შვილი კი ცხრა კი-  
ლომეტრით შორს იყო. იქამდე აბელი ცხენზე არასოდეს  
მჯდარა. თუმცა, შეძლო – მივიდა დანიშნულების ადგ-  
ილზე და ბავშვს სამედიცინო დახმარებაც აღმოუჩინა.

Memorial plaque for Sergey Metreveli. The plaque is circular with a decorative border containing text in Hebrew, Russian, and Georgian. The central text is in Hebrew and Russian. The Hebrew text reads: 'וזאת לתעודה שביעיבותה עיוס' סיון תשס"ד החליטה הועדה לציון חסידיו אונות העולם שליד רשות הזיכרון יד ושם על יסוד עדויות שהובאו לפניה, לתת כבוד וזקר ל סרגיו מטרבלי על אשר בשנות השואה באירופה עם נפשו בכפו להצלת יהודים נרדפים יודי רודפיהם ולהעניק לו את הנידליוה לחסידיו אונות העולם. שמו יונצח לעד על לוח כבוד בגן חסידיו אונות העולם ביד ושם. ינתן היום בירושלים ה'תמוז תשס"ד'. The Russian text reads: 'Сим утверждается, что на заседании комиссии по присвоению звания Праведника народов мира, созданной при национальном институте памяти катастрофы и героизма Яд-Вашем, от 30.V.2004 на основе представленных свидетельств решено удостоить Сергея Метревели который в годы фашистской оккупации рисковал своей жизнью ради спасения преследуемых евреев, звания Праведника мира и наградить медалью Праведника народов мира. Его имя будет высечено на Стене почета в Аллее праведников Яд-Вашем. Иерусалим, Израиль 24.VI.2004'. The Georgian text at the bottom reads: 'ბ-ნი აბელ მეტრეველი კისლოვოდსკში ცხოვრობდა, აქ გაატარა ბავშვობა. თბილისის სამედიცინო უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, კვლავ კისლოვოდსკში ბრუნდება. მიანდა, რომ მედიცინა არ იყო მისი ბავშვობის ოცნება, როგორც თავად ამბობს. უკვე სწავლის პირველ კურსზე კი მიხვდა, რომ სწორედ ეს არის მისი მოწოდება, საქმე, რომელსაც მთელი სიცოცხლე მიუძღვინდა. სწავლას სტუდენტის წარმატებულად და საკმოდ ადვილად ართმევდა თავს, განსაკუთრებით კი სპეც. დისციპლინებს. გამოცდის წინ რამდენჯერ გაუთენებია ღამე და თანაკურსელს დახმარება საგნის მომზადებაში. ბ-ნ აბელს გულწრფელად უკვირდა, თუ რატომ უძნელდებოდათ სხვებს ამის სწავლა.' The plaque also features a small logo at the top center and a signature at the bottom left.

შემდეგ უკვე საკუთარი ცხენი გამოუყვავს. თუმცა, შორ მანძილზე ცხოვრებისა და სერიოზული სამედიცინო ბაზის განვითარების მცირე შესაძლებლობების პირობებშიც კი აბელ მეტრეველი ყოველთვის ცდილობდა ადამიანის გულის შესახებ პრაქტიკული წარმოდგენა შეექმნა.

– ბორჯომის ხეობა ულამაზესია – იხსენებს ბ-ნი აბელი, – მაღალმთიანობა, სამკურნალო წყალი, უსუფთავესი ჰაერი. მაგრამ მაშინ, 50 წლების ბოლოს სოფლებში ჯერ კიდევ არ იყო არც ელექტროენერგია, არც – გზები. ეს, თავისთავად სირთულეებს მიქმნიდა.

უნდა აღინიშნოს, რომ სოფლის ექიმის ახალგაზრდა ოჯახმა პატიოსნად გაუძლო სამწლიან გამოცდას. როდესაც ექიმი მეტრეველი ბორჯომის ხეობას სტოვებდა, ხალხი ყველაზე შორეული სოფლებიდანაც კი მოდიოდა მის გასაცხილებლად.

კისლოვოდსკში დაბრუნებულმა, ცოდნისა და გამოცდილების საკმაოდ კარგი მარაგით აბელ მეტრეველი ქა-



პროფესორი აბელ მეტრეველი მათთან - ნათა ანასთასიანთან ერთად

ლაქის ცენტრალურ საავადმყოფოში მოეწყო, რომელიც ძალიან პრესტიჟული სამედიცინო დაწესებულება გახლდათ. აქ მუშაობა არა მხოლოდ საპასუხისმგებლო, არამედ საპატიოც იყო. აქედან გამომდინარე მოწყობაც საკმაოდ რთული გახლდათ. სამსახურში მხოლოდ საუკეთესოებს იღებდნენ.

აბელ მეტრეველს გაუმართლა. რამდენიმე თვე მორიგე თერაპევტად იმუშავა. გონიერი, ენერგიული ახალგაზრდა ექიმი თერაპიის განყოფილების გამგემ ი.ა. ზვანსკიმ შეამჩნია და მუდმივი სამსახური შესთავაზა.

სწორედ ეს ადამიანი გახდა აბელი მეტრეველის სულიერი მოძღვარი, რომლის შესახებაც იგი არაერთ ინტერვიუში დიდი მოწიწებით, პატივისცემითა და სიყვარულით საუბრობს. ბ-ნი აბელის სამუშაო მაგიდაზე ყოველთვის შეამჩნევდით თავისი მასწავლებლის სურათს.

ალბათ, მხოლოდ ძალიან კეთილი და მაღლიერი ადამიანი შეძლებს წლების მანძილზე იმ ადამიანების ასე გულითადად გახსენებას, რომლებიც ოდესღაც დაეხმარნენ.


სწორედ აქვე იქნება დროული ბ-ნი აბელის სიტყვების ციტირება:

– რაშიც მე მტკიცედ ვარ დარწმუნებული გახლავთ ის, რომ ნებისმიერ დარგში კარგი სპეციალისტი, პირველ რიგში კი მედიცინაში, უნდა იყოს მხოლოდ ძალიან კეთილი ადამიანი. ბოროტი, როგორც ცოდნის პატრონიც არ უნდა იყოს, ვერასდროს მოიტანს სარგებელს.

ექიმს და პაციენტს შეუძლიათ დაამარცხონ ავადმყოფობა ერთად. ამისათვის კი აუცილებელია, რომ ავადმყოფი გენდობოდეს, სჯეროდეს შენი და პატივს გცემდეს. ამას ყოველთვის ვუბნები ჩემს შვილებს და მოსწავლეებს.

აბელ მეტრეველი თავად გახლავთ ნათელი მაგალითი

**პროფესორი აბელ მეტრეველი**



იმ თვისებებისა, რომელსაც იგი უნერგავს ახალგაზრდებს.

კისლოვოდსკის ცენტრალური საავადმყოფოს კარდიოლოგიური განყოფილება – ბ-ნი აბელის ქმნილებაა, იმ გაგებით, რომ იგი აყალიბებდა მას, თავად არჩევდა ექიმების კოლექტივს და მედლებს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ცნობილია თუ რაოდენ მკაცრი შერჩევა მიმდინარეობდა კადრების შერჩევის დროს. ბ-ნი აბელის თქმით, იგი ისევე უნდა იყოს დარწმუნებული თავისი პერსონალის პროფესიონალიზმში, საქმისადმი სიყვარულში და პატიოსნებაში, როგორც საკუთარ თავში.

პრაქტიკული მედიცინის გარდა, აბელ მეტრეველმა დიდი წვლილი ფუნდამენტალურ მეცნიერებაში შეიტანა. მისი დისერტაცია მრავალწლიანი დიდი გამოცდილების შედეგია. მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის ა. მეტრეველის აქტივებში 12 ნაშრომია და დიდ საბჭოთა ენციკლოპედიაში სტატია – პნევმოსკლეროზის შესახებ.

იმისათვის, რომ მიიღოთ ექიმ მეტრეველის დახასიათება, სულაც არ არის საჭირო ქალაქის საავადმყოფოში შეკითხვის გაგზავნა. საკმარისია გამოკითხოთ ქუჩაში უბრალო გამვლელებს და შემდეგ შეადაროთ მიღებული ინფორმაცია. აუცილებლად ხუთიდან სამისთვის ცნობილი იქნება მისი სახელი და ისინი რაიმე კარგს გაიმბობნენ მასზე. არასდროს უთქვამს აბელ მეტრეველს ავადმყოფისათვის კონსულტაციაზე უარი, იმ შემთხვევაშიც კი, თუ მას დასვენების დღეებში ან თუნდაც გვიან ღამით.

აბელ მეტრეველზე დაიწერა არაერთ რუსულენოვან გაზეთში, არაერთი სტატია მიეძღვნა ამ ბრწყინვალე პიროვნებას ასეთი სათაურებით: „ადამიანების გულების ინჟინრები“, „საუკეთესოთა შორის საუკეთესოები, საიდან ჩნდებიან ასეთი ადამიანები“, „გულების მკურნალი“ და ა.შ. კისლოვოდსკელმა პოეტმა ქალმა, რომელიც ამჟამად აშშ-ში ცხოვრობს ლექსი მიუძღვნა – „მეტრეველის პროსპექტი“, ასევე მასზე წერდა ცნობილი რუსი მწერალი ანდრეი გუბინი, რომელიც ერთხელ თავად მოხვდა კარდიოლოგის ხელში. მას პატივს სცემენ კოლეგები, იგი უყვართ მეგობრებს, მას აღმერთებენ პაციენტები.

ბ-ნი აბელს ჰყავს მეუღლე, რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი – ქ-ნი ნათელა ბაგრატის ასული კერესელიძე, ორი ქალიშვილი. ორივემ დაამთავრა სტავროპოლის სამედიცინო უნივერსიტეტი, გათხოვდნენ ქ.სოხუმში, საიდანაც ცნობილი მოვლენების გამო წამოსვლა მოუწიათ. უფროსი ქალიშვილი მანანა ქმართან და ორ შვილთან ერთად თბილისში ცხოვრობს. მეუღლე – თენგიზ ჩაჩბაია აფხაზეთის დევნილი მთავრობის სოფლის მეურნეობის ყოფილი მინისტრი, ქალიშვილი თამარი – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს თანამშრომელი. ვაჟი – გიორგი მოსკოვის საფინანსო აკადემიის კურსდამთავრებული. მეორე ქალიშვილი –

ლალი მეუღლესთან და სამ შვილთან ერთად ქ. კოლომნაში ცხოვრობს. მისი მეუღლე ივანე ზოდელავა, ქ. მოსკოვის უროლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ექიმი-რეანიმატოლოგია.

როგორც უკვე მოგახსენეთ, ამჟამად ბ-ნი აბელი მეუღლესთან ერთად თბილისში გადმოვიდა საცხოვრებლად. სწორედ იგი გვეწვია „მენორას“ რედაქციაში მოგვაწოდა ყველა საჭირო ინფორმაცია მისი მამის – სერგო მეტრეველის შესახებ და გულახდილად სინანულიც კი გამოთქვა იმის გამო, რომ 2205 „მსოფლიოს ხალხთა წმინდანის“ – ვასილ მეტრეველის შესახებ საქართველოში არავისთვის არ არის ცნობილი, მასზე არსად დაბეჭდილია სტატია, რაც ვთვლით, ნამდვილად გულსატკეპია.

კისლოვოდსკში ჩატარებული დიდი საზეიმო ღონისძიების მთავარ გამომწვევად, „მსოფლიოს ხალხთა წმინდანის“ შვილს მეტრეველს არაერთი მილოცვა, ისრაელის სახელმწიფოს მიერ დაწესებული საპატიო სიგელები და მედლები გადასცეს.

2005 წლის 5 მაისს ჰოლოკოსტის დღეს, მოსკოვში გამართულ ღონისძიებაზე, სადაც იმყოფებოდნენ ასევე მრავალი ქვეყნის საელჩოს წარმომადგენლები, ბ-ნი აბელს „ჰოლოკოსტის“ ენციკლოპედია გადასცეს და კვლავ მიულოცეს მამის „მსოფლიოს ხალხთა წმინდანად“ შერაცხვა.

**აბელ მეტრეველი** ასე იხსენებს მამას:

– მამაჩემი საერთოდ არაორდინალური ადამიანი იყო. მან დამამასსოვრა თავი, როგორც ძლიერმა და მამაცმა პიროვნებამ, რომელსაც ძალიან უყვარდა თავისი ოჯახი. ამაყი ვარ, რომ პატივი მერგო მიმელო მისი დამსახურებული ჯილდო ისრაელის სახელმწიფოსა და ერისგან. რომ მისი – ერთადერთი ქართველის სახელი ამოტვიფრულია „იად ვაშემის“ მემორიალურ დაფაზე. მაღლიერი ვარ, რომ მრავალი წლის მერე, მამაჩემის კეთილშობილებამ მიიღო უმაღლესი საერთაშორისო აღიარება.

ჩვენ მოხარულები ვართ, რომ ასეთი ცნობილი მამის, არანაკლებ ცნობილ შვილთან პირისპირ შეხვედრა მოგვიწია და იმედს ვიტოვებთ, რომ მათ შესახებ საქართველოშიც გაიგებენ.

P.S. პროფესორ აბელ მეტრეველის გულისტკივილი იმის თაობაზე, რომ საქართველომ არაფერი იცის მისი მამის დამსახურებაზე, საუსებით გასაგები გახლდათ. სწორედ ამ ზარევის შესავსებად 16 ივლისს ქართულ ტელევიზიაში გახმაინდა ეს მნიშვნელოვანი ფაქტი და სერგო მეტრეველის – ამ ქართველი გმირის ამბავი და აბელ მეტრეველი საქართველოს ებრაელთა მსოფლიო კონგრესის თანათავმჯდომარემ, დრამატურგმა გურამ ბათიაშვილმა წარუდგინა საზოგადოებრიობას.

მოამზადა ლილია ზომენკო

GEORGIA 2004 იזი

METREVELI SERGEI

რას ვპიტიხ ულობთ ამ კვირაში? რუბრიკას უძღვება საქართველოს მთავარი რაბინი არიელ ლეჰინი

ვ  
ს  
ა  
ე  
მ  
ს  
ა  
ნ  
ს  
ნ



„და შევედრა გამჩენს იმ დროს...“; „და მითხრა გამჩენმა მე, საკმარისია, აღარ ილაპარაკო ამაზე ჩემთან.“ ჩვენმა დიდმა ბრძენებმა, კურთხეული მათი ხსოვნა, ბრძანეს, რომ როდესაც მოშე რაბიენუ ისრაელის მიწაზე შესვლას ევედრებოდა გამჩენს, მან წარმოსთქვა 515 ლოცვა, რომელიც შეესაბამება სიტყვის „ვაეთხანან“ – „და შესთხოვდა“, რიცხობრივ მნიშვნელობას. ის იმედს არ კარგავდა ლოცვაში იქამდე, მანამ გამჩენმა არ აუკრძალა კიდევ ერთი ლოცვის დამატება. რატომ არ იყო გამჩენი ერთი ლოცვის დამატების მომხრე? იმიტომ, რომ არ არსებობს ლოცვა, რომელიც ზეცას არ აღწევს. ეს კი იმ ადამიანის ქმედებას

ჭგავს, რომელიც კედელს ბურღავს. მხოლოდ დიდი ხნის ბურღვის შემდეგაა შესაძლებელი კედლის გახვრეტა. თუ ადამიანი კვლავ და კვლავ მთელი გულით ლოცულობს, მისი ლოცვა მიიღება. ერთი ზედმეტი ლოცვაც მოშე რაბიენუს მხრიდან და გამჩენი მიიღებდა მას. სწორედ ამიტომ აუკრძალა გამჩენმა. ლოცვის ძალაზე მოგვითხრობს გემარა „ბრახოთ“; მეფე ხიზკიაუ სიკვდილის პირას იყო, როცა მასთან მივიდა წინასწარმეტყველი იშაიაჰუ და უთხრა: „ასე სთქვა გამჩენმა გაცივი განკარგულებები ისახლში, რადგანაც მოკვდები შენ და არ იცოცხლებ“. გემარა გვიხსნის, რომ ლაპარაკია ორმაგ სიკვდილზე: ამ ქვეყნიდან და მომავალი სამყაროდან სიკვდილზე. რის გამო მიიღო მან ასეთი სასჯელი? იმის გამო, რომ მეფე ხიზკიაჰუმ არ მოიყვანა ცოლი და არ შეასრულა მიცვა: „განაყოფიერდი და გამრავლდი“. მან წინასწარმეტყველურად იცოდა, რომ შვილები ბოროტმოქმედები ეყოლებოდა და ამიტომაც არ სურდა ცოლის მოყვანა. წინასწარმეტყველმა ირმიაჰუმ აუხსნა მას: „შენთვის არ შეიძლებოდა განჭვრეტა და გამჩენის საიდუმლოებებში ჩარევა, უბრალოდ უნდა შეგესრულებინა მისი მიცვა და დაქორწინებულიყავი.“ მაშინ მეფე მას სთხოვს მიათხოვოს თავისი ქალიშვილი, მაგრამ ირმიაჰუ უარს ეუბნება, რადგანაც ზეცაში უკვე გადამწყვეტილი იყო ხიზკიაჰუს სიკვდილი. „ნუ უყურებ შენს წინასწარმეტყველებას, რადგანაც ჩვენი წინაპრებისაგან (მეფე დავითის შთამომავალთაგან) მიღებული მაქვს ასეთი ტრადიცია, რომ კისერზე დანის მიბჯენისასაც კი გამჩენს მონყალება უნდა შესთხოვო.“ ამ სიტყვების წარმოთქმისთანავე ხიზკიაჰუ წამოდგა და ლოცვა დაიწყო. შეისმინა გამჩენმა მისი ლოცვა და კიდევ თხუთმეტი წლის სიცოცხლე დაუმატა. გემარაში „მოედ კათან“ კი ნათქვამია, რომ

შეიძლება დანიშნა ხოლ ა მოედებში, თუმცა ქორწინება ამ დღეებში აკრძალულია. თვით ყველაზე სამგლოვიარო დღეს 9 აბსაც (ორი ტაძრის დანგრევის დღეს) შეიძლება დანიშნა სუფრის გარეშე იმიტომ, რომ სხვამ არ დაგასწროს და არ დანიშნოს შენი რჩეული. მაგრამ დაბადებიდან ორმოცი დღით ადრე ხომ გაისმის ხმა, რომელიც იტყობინება: ამა და ამ ადამიანის ქალიშვილი იქნება ამა და ამ ადამიანის მეუღლე, ანუ წინასწარ განისაზღვრება ვინ ვისი მეუღლე იქნება. მაშ როგორღა შეიძლება სხვამ დაასწროს? გემარა „სოტა“ პასუხობს, რომ ბრძენმა სახელად რავა ყური მოკრა, თუ როგორ ლოცულობდა ერთი ახალგაზრდა კონკრეტული გოგონასათვის. რავამ უთხრა, რომ მისი ლოცვა ამაო იყო, რადგანაც თუ ეს გოგონა ზეციდან მისთვის იყო განკუთვნილი, ისედაც გახდებოდა მისი მეუღლე, თუ არა და გამჩენს უჯანყდები და ლოცვა არ გიშველისო. (ქორწინების შესახებ ლოცვა უნდა იყოს აგებული ისე, რომ ადამიანი ითხოვდეს მისთვის განკუთვნილ პიროვნებას, ეს ახალგაზრდა კი ამას არ ამბობდა). მათი საუბრის შემდეგ რავამ მოისმინა, რომ ახალგაზრდა ასე ლოცულობდა: „თუ გოგონა ჩემი ხვედრი არაა, მაშინ მოჰკალი ან ის ან მე, რათა არ დავინახო თუ როგორ გაყვება ის სხვას“. სწორედ ამიტომ დაუშვეს ნიშნობა ასეთ დღეებში, რომ სხვამ არ ილოცოს და მისი ლოცვა არ იქნას შესმენილი. აი, ასეთი ძალა აქვს ლოცვას. ამბობენ, რომ რებე ბრესლიდან არ თანმდებოდა თემის რაბინობაზე იქამდე, მანამ მას არ უთხრეს, რომ 20000 ებრაელისაგან შემდგარი თემი ელოდება მას. მაშ, რატომ არ მოდის ჯერ მაშიახი, რომელსაც ჩვენ ყველანი ველოდებით. მოდით ველოდოთ მას და ვილოცოთ უფრო ძლიერად.

# ისრაელი

## სტატისტიკური მონაცემები

### დასაწყისი იხ. №13

ასოფლიო სიღვიძრეების კონცენტრაციის ზოლო ანგარიშის თანახმად, რომელიც merill lynch-ს წარუდგინეს, ისრაელში მილიონერებისა და პულტიმილიონერების რიცხვი გაცილებით სწრაფად იზრდება, ვიდრე სხვაგან. 2006 წელს ისრაელში 7200 მილიონერი ირიცხავოდა (აღამიანები, რომელთა პირადი ქონება მილიონ დოლარს აღემატება). მათი რიცხვი ერთი წლის განმავლობაში 13%-ით გაიზარდა, მაშინ როდესაც ასოფლიოში მხოლოდ 8.3%-ით. პულტიმილიონერები, რომლებიც ფლობენ პირად ქონებას 30 მილიონ დოლარზე ზევით, ისრაელში მრავლდებიან უფრო სწრაფად: ზოლო ერთი წლის განმავლობაში ისინი 15%-ით მეტი გახდნენ, ხოლო ასოფლიოში მხოლოდ 11.3%-ით გაიზარდა მათი რიცხვი. **მე-15 ადგილი ასოფლიო კონსერვატიული ინაუნის რეიტინგში** ისრაელის კონსერვატიული ინაუნის მკვლევარებმა განაცხადეს — 2005 წელს 23-ე ადგილიდან 2006 წელს მე-15 ადგილზე გადაინაცვლა. რეიტინგის თანახმად ყველაზე უფრო კონსერვატიული ინაუნის ეკონომიკის მქონე ქვეყნებია — შვეიცარია, ფინეთი და შვეიცარია. **მე-18 ადგილი IT ასოფლიო რეიტინგში** IT-ის გაზრდის განვითარების რეიტინგში გამოქვეყნებულია ასოფლიო ეკონომიკური ფორუმის მიერ. რეიტინგის შედეგისას ითვალისწინებენ არა მარტო IT-გაზრდას, არამედ მისი გავლენის დონეს და სხვა სფეროებში შედეგებს (მაგალითად, განათლების სფეროში), ასევე იმ პოლიტიკის წარმატებულობას, რომელიც IT-ის ინტენსიფიკაციის გამოყენებისკენაა მიმართული. პირველ ათეულში ამ მიმართულებით ყველაზე უფრო განვითარებული ქვეყნების რიცხვი შვეიცარია, დანია, შვეიცარია, სინგაპური, ფინეთი, შვეიცარია, ნიდერლანდები, აშშ, დიდი ბრიტანეთი და ნორვეგია.

უხსხვილესი მაღალი ტექნოლოგიური ცენტრების სიაში ისრაელი კალიფორნიაში ცნობილი სილიკონის ხეობის შემდეგ, მეორე ადგილზე დგას. **23-ე ადგილი ცხოვრების პირობების რეიტინგში** პირველი ადგილი ხელთაუზაფრის სახელმწიფოებს შორის ნაპრკალაბის, სავარგულაბის მხრივ, რომელსაც იცავს სახელმწიფო. ისრაელში ნაპრკალაბი და ეროვნული პარკები მთლიანი ტერიტორიის 16.2% შეადგენს. საფრანგეთში, რომელიც მეორე ადგილზეა, ეს მაჩვენებელი 11.7% შეადგენს. **პირველი ადგილი ევროპული აეროპორტების რეიტინგში.** ACI – ის გამოკვლევების თანახმად, ევროპულაბის მიერ საუკეთესოდ აღიარებულია ისრაელის ბენ-გურიონის აეროპორტი. მან დაიკავა პირველი ადგილი Top-40 ევროპული აეროპორტების რეიტინგში და მესამე ადგილი ასოფლიო რეიტინგში 77 აეროპორტს შორის. ჩვეულებრივ მსურს შემოგთავაზოთ მცირე მიმოსვლები ისრაელის სოფლის მეურნეობისა და მაღალი ტექნოლოგიების შესახებ. **სოფლის მეურნეობა** ისრაელის დიდი ნაწილი განლაგებულია უდაბნოში და ნახევრად უდაბნოში. ნალექებისა არის მხოლოდ ზამთარში და საკმაოდ არაბუნებრივად: 700 მმ-დან ჩრდილოეთით, 50 მმ-მდე სამხრეთით. მიწათმოქმედება მორწყვის გარეშე პრაქტიკულად შეუძლებელია. დღესდღეობით მოსარწყავად იყენებენ წყლის 1,2 მილიარდ კუბომეტრს წელიწადში. წყლის მოთხოვნების ორი მესამედი იჭარბება გუნებრივი წყაროების წყალობით და ერთი მესამედი – გრუნტებისა და განმდინელი მტკნარი წყლის გამოყენების ხარჯზე.

წყლის მომარაგების უზრუნველყოფისათვის აშენებული იქნა სრულიად ისრაელის წყლის გადასაწოდების განხორციელებული სისტემა, რომელიც წყალს თითოეულ მიწოდებს აწვდის. აშენებული იყო და ახლაც გრძელდება წვიმის წყლის შეგროვება, ტვირთ-რაზარ-ვარების შენება. წყლის დეფიციტის პრობლემა წყდებოდა რამდენიმე მიმართულებით. ეს არის – წყლის მაქსიმალურად ეფექტურად გამოყენება სოფლის მეურნეობაში უხსხვილ ტექნოლოგიებისა და მორწყვის მონაწილეობის გამოყენებით. მორწყვისთვის განმდინელი გამდინარე წყლის გამოყენება. ზოლო დროს, საკმაოდ სერიოზულად განიხილავდნენ ზღვის წყლის გამოყენების მსხვილმასშტაბიან პროექტს და უკვე ექსპლუატაციაშია შეყვანილი პირველი მასიური განამტკნარებელი დანადგარი ქალაქ აშკალონის მახლობლად. ზოლო 30 წლის განმავლობაში სოფლის მეურნეობის წარმოების მოცულობა 5-ჯერ გაიზარდა, ხოლო წყლის ხარჯვის ოდენობა, პრაქტიკულად ისევე იმ დონეზეა. ასეთი შედეგების მიღწევას მორწყვის ახალი ტექნოლოგიების ხარჯზე გახდა შესაძლებელი. ეს ტექნოლოგიები ისრაელში იქნა შემუშავებული და განვითარებული. ეს ნამდვილად საბაზო ისრაელის მრეწველობა ამ დარგში არის ერთ-ერთი წამყვანი მთელს ასოფლიოში. წარმოებული დანადგარების 80% საზღვარგარეთ გადის ექსპორტით და ყოველწლიურად მიწოდების რაოდენობა იზრდება. ფარმაცია ისეთ მაღალგანვითარებულ ქვეყნებში, როგორცაა აშშ, ევროპული ქვეყნები, იაპონია, კანადა, ავსტრალია, უპირატესობას სწორედ ისრაელის დანადგარებს, მისი შესანიშნავი სანაპსულსატაციო თვისებების, სანიმდროების მისაღები ფასების დამსახურებით.

გაგრძელება იხ. შემდეგ ნომერში

